პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 158 (7719)
18 აგვისტო, შაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ორიენტირი— მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

საქართველოს საგზატკეცილო ველომრბოლელები ამ ბოლო ხანს ტრეკის ოსტატთა წარმატებების ჩრდილში მოექცნენ. ჩამორჩენას თანდათან „ქრონიკული“ ხასიათი მიეცა. რატომ მოხდა ეს? საგზატკეცილო ველორბოლა უაღრესად შრომატევადი სპორტია, მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ყველაფერს სპორტსმენთა სიზარმაცესა და მწვრთნელთა უგერგილობას დავაბრალებთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს ველოსპორტში საიმედო რეზერვის შესაქმნელად დიდი არჩევანი არ არის. ამიტომ აქცენტი უფრო სატრეკო ველოსპორტის განვითარებაზე გადაგვაქვს. ასეა როგორც მოზრდილთა, ისე ჭაბუკთა ველოსპორტში. სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები, რომელთაც საკმაოდ „მწირ ნიადაგზე“ უხდებათ მუშაობა, მაინც ცდილობენ კარგი გუნდი შექმნან. ახლა მათი ხელმძღვანელობით საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გულმოდგინედ ემზადება XVII საკავშირო სპარტაკიადისათვის. გვესაუბრება გუნდის უფროსი მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურამ ჯოხაძე:

საგზატკეცილო დაბრკოლებები

— როგორც ცნობილია, შეჯიბრება წვრთნის საუკეთესო საშუალებაა და ჩვენც ვარჯიშებსა და შეჯიბრებებს ერთმანეთს ვუნაცვლებთ. პირველი სტარტები მარცხიანი გამოდგა. მაგალითად, დუშანბეში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებაში გუნდმა XII ადგილი დაიკავა, მაგრამ თანდათან მდგომარეობა გამოსწორდა და გარკვეულ პროგრესსაც მივაღწიეთ. ბელოგორსკში ქუთაისელმა ნუგზარ თევდორაძემ პირველი ადგილი დაიკავა ჯგუფურ რბოლაში. შემდეგ ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სომხეთში გამართულ ტრადიციულ მრავალდღიან ველორბოლაში, რომელსაც „არარატის ველი“ ჰქვია, აქ, სომხეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების 26 გუნდს შორის ჩვენი ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორე იყო, ხოლო პირად შეჯიბრებაში თევდორაძემ მესამე ადგილი დაიკავა. გადაწყვეტილი გვქონდა უკრაინის და ლენინგრადის ძლიერ გუნდებსაც შევეჯიბრებოდით, მაგრამ იმის გამო, რომ სპორტული ინვენტარი არ გვეყო, გუნდი სრულად ვერ დავაკომპლექტეთ. არადა, ნორჩი სპორტსმენი ხომ სწორედ ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში ოსტატდება... ვატარებდით საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებს. რამდენიმე ჭაბუკი სპორტსმენი ლიბიაშიც კი იყო საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ამჟამად ჩვენი გუნდი მცხეთაშია საწვრთნელ შეკრებაზე და ინტენსიურად ემზადება გადამწყვეტი სტარტებისათვის. დილას, როგორც წესი, 50 წუთს საერთო ფიზიკურ მომზადებას ვუთმობთ, 11 საათზე სპორტსმენები გზატკეცილზე გადიან. დისტანციის სიგრძე ხშირად 160-170 კილომეტრს აღწევს (გოგონებისთვის — 70-80). დღის მეორე ნახევარში ორი საათი კვლავ საერთო-ფიზიკურ მომზადებას ეთმობა.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ წვრთნის პროგრამის შესრულებაში ბევრი რამ გვიშლის ხელს, მაგალითად ექიმი მთელი წლის განმავლობაში არ გვყოლია. ახლა კი დაგვინიშნეს, მაგრამ მცხეთაში ვერ მოდის და ამნაირ დანიშნას რა აზრი აქვს. არც მასაჟისტი გვყავს. ველოსიპედების ნაკლებობამ კი მთელი წლის განმავლობაში გაგვაწამა. გაუფუჭდება გზაში ძველი ველოსიპედი რომელიმე მრბოლელს და მაშინვე მანქანაში ვსვამთ — რა ვქნათ, სათადარიგო ველოსიპედი არა გვაქვს. ჩვენი გასაჭირი ორმაგდება, როცა ის ერთადერთი ავტომანქანაც ფუჭდება. მაშინ საერთოდ ვწყვეტთ ხოლმე ვარჯიშს. ეს ჩვენი „მარჯვენა ხელიც“ ორი წლის განმავლობაში უმოქმედოდ იყო და ჩვენვე შევაკეთეთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეცადინეობის მაღალ დონეზე ჩატარებას და უსაფრთხოების დაცვას ერთი მანქანა ვერ გასწვდება. ივლისის დასაწყისში მოგვცეს ახალი მანქანა, მაგრამ იგი ჯერაც გაუფორმებელია. ველოსიპედებიც მივიღეთ ერთი კვირის წინ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ჭაბუკებს ერგოთ.

ნაკრებში არა გვყავს ლიდერი, ეს კი ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ნაკლია. ლიდერობა შეეძლოთ რუსთაველ ედუარდ ბალაგუროვს, თბილისელ თამაზ ანცარიძეს და ზუგდიდელ ხუბულავას, მაგრამ ზაფხულის დასაწყისში სამივე ტრეკზე რბოლაში გადავიდა. დაყოფითი სტარტით 25 კილომეტრზე რბოლაში, რაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შედის, წარმატების ყველაზე დიდი შანსი ლაგოდეხელ გოჩა ბეჟაშვილს აქვს. ის და მისი თანაგუნდელი ნუკრი კაკალაშვილი ლაგოდეხელი მწვრთნელის გივი ყაველაშვილის მოწაფეები არიან. პერსპექტიული სპორტსმენია სოხუმელი ანატოლი ბაშკადინიც, მაგრამ მან ბევრი მეცადინეობა გააცდინა (სკოლიდან არ გამოუშვეს). სხვებმა ვარჯიშზე 16000 კილომეტრის გავლა მოასწრეს, მან კი მხოლოდ 7000 კილომეტრის დაფარვა შეძლო. ჯგუფურ რბოლაში იმედს ძირითადად თბილისელ კახა სიყმაშვილზე ვამყარებთ. იგი სხვებზე გამოცდილიც არის და ფინიშზეც ძლიერია. ნუგზარ თევდორაძე დიდი გამძლეობით გამოირჩევა და ალბათ შეჯიბრებაზე ძირითად ჯგუფს არც ჩამორჩება, მაგრამ ვაითუ სუსტმა ფინიშმა შეუშალოს ხელი. კრიტერიუმში (70 კმ) და ზემოთ ჩამოთვლილ დისციპლინებში ქუთაისელი ომარ მეგენეიშვილი და მცხეთელი ვანო სოლოღაშვილი იასპარეზებენ. ორივე ნიჭიერი ველომრბოლელია და ალბათ გუნდს სარგებლობას მოუტანენ.

ჩვენს გოგონებზე ძნელია წინასწარ რაიმე ითქვას, რადგან გუნდი ძირითადად ახალბედებისგან შედგება.

ჩემს გარდა გუნდში ორი მწვრთნელია: ბორის კილასონია და ჯემალ ჭელიძე.

მცხეთაში თვის ბოლომდე დავრჩებით, შემდეგ კი ტაშკენტს გავემგზავრებით. მიუხედავად დაბრკოლებებისა, გადაწყვეტილი გვაქვს გავაუმჯობესოთ ის შედეგი (XII ადგილი), რაც ჩვენმა მოსწავლეებმა აჩვენეს წინა სპარტაკიადაზე საგზატკეცილო ველორბოლაში.

გიორგი ჩოჩიშვილი.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მწვრთნელის რჩევა-დარიგება გზატკეცილზე გასვლის წინ; მცხეთას მიახლოებული ჯგუფი ფინიშისთვის ემზადება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

„მეგობრობა-84“

მარგიტის პირველი მედლები

„ვარსკვლავების ტურნირი“ უწოდეს წყალში მხტომელთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც „მეგობრობა-84“-ის პროგრამით დაიწყო ბუდაპეშტში, კუნძულ მარგიტის საწყლოსნო სპორტის ცენტრში. „ვარსკვლავები“ არიან ტურნირის მონაწილე სახელოვანი სპორტსმენები — მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.

წყალში მხტომელთა ასპარეზობის მონაწილეებს შორის მართლაც ბლომად შეხვდებით სახელგანთქმულ სპორტსმენებს. დავასახელოთ თუნდაც მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი მინსკელი ალექსანდრე პორტნოვი, ამავე თამაშების ვერცხლის პრიზიორი ვლადიმერ ალეინიკი, ევროპის ჩემპიონი ალა ლობანკინა, ევროპის თასის მფლობელები — ანჟელა სტასიულევიჩი და ტატიანა ალიაბიევა. ძლიერი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული გდრ-ის ნაკრებიც: დიტერ ვასკოვი, თომას კნუტსი, ბიანკა მაიერი, ბრიტე ბალდუსი... უმაღლესი კლასის მხტომელებად იცნობენ აბელ რამირესს (კუბა) და ევროპის ჩემპიონს პეტერ გეორგიევს (ბულგარეთი). მასპინძლები დიდ იმედებს ამყარებენ გუნდის ვეტერან ილდიკო კელემენსა და ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონ აგნეშ გერლახზე...

ასპარეზობის პირველ დღეს გათამაშდა ოქროს მედალი ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. პირველი ადგილი დაიკავა 19 წლის ლაიფციგელმა მოსწავლემ ბრიტე ბალდუსმა — 525,15 ქულა. იგი შარშანაც უძლიერესი იყო ევროპის ჩემპიონატში, წლეულს კი ბუდაპეშტში მაღალ ტექნიკასთან ერთად სტაბილურობა და ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოავლინა. განსაკუთრებით კარგად შეასრულა მან სამი ბოლო ნახტომი, რამაც გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჟანა ცირულნიკოვა მეორე იყო — 513,42 ქულა, ევროპის თასის მფლობელი ტატიანა ალიაბიევა კი III ადგილზე გავიდა — 492,21. ექვსეულში მოხვდნენ; აგრეთვე, ჰაიდემარ გრეცკა (ჩეხოსლოვაკია) — 486,69, ილდიკო კელემენი (უნგრეთი) — 449,04 და მილაგროს გონსალესი (კუბა) — 445,47.

მაღალი შედეგებით

ამინდი მაინცდამაინც ხელს არ უწყობს მძლეოსან ქალებს. პრაღაში შეჯიბრების პირველ დღეს საკმაოდ ციოდა. წვიმაც, ცხადია, გარკვეულ წინააღმდეგობას უქმნიდა სპორტსმენებს და მაინც „მეგობრობა“-84“-ის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრების ყველა სახეობაში მაღალი შედეგებია ნაჩვენები.

ასპარეზობაში მონაწილეობს 15 მსოფლიო რეკორდსმენი, 10 მსოფლიოს და 9 მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი. სულ უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძვის 16 ქვეყნის ორასზე მეტი მძლეოსანი.

- პირველ დღეს გათამაშდა მედლების რამდენიმე კომპლექტი. გაგაცნობთ პრიზიორთა სამეულებს (ფრჩხილებში გამარჯვებულის შედეგის შემდეგ მითითებულია ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის გვარი და შედეგი).

რბენა 100 მ. 1. მარლიზ გიორი (გდრ) — 10,95 (ე. ეშფორდი — 10,97), 2. ლუდმილა კონდრატიევა (სსრ კავშირი) — 11,02, 3. ანელია ნუნევა (ბულგარეთი) — 11,10.

(დასასრული მე-4 გვ.)

ელვა-ინფორმაცია

გენადი ზაიჩიკი ლიდერთა ჯგუფში

პოლონეთის ქალაქ პოლიანსკა-ზდრუეში ცნობილი პოლონელი დიდოსტატის ა. რუბინშტეინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილეებმა შეჯიბრების რუბიკონი გადალახეს.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ გენადი ზაიჩიკი (თბილისი), ვიაჩესლავ ეინგორნი (ოდესა) და პეტერ ლუკაჩი (უნგრეთი) — 6,5-6,5 ქულა. სამივე მოჭადრაკეს შეუძლია საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულოს. ამისთვის საჭიროა დარჩენილ ხუთ პარტიაში თითოეულმა 4,5 ქულა მოაგროვოს.

IV-VI ადგილებს იყოფს მაია ჩიბურდანიძე, რომელსაც 5,5 ქულა აქვს. მან სამი პარტია მოიგო, ხუთი ყაიმით დაამთავრა და ერთი წააგო.

ოთხგზის ჩემპიონი

მინსკელმა სპორტსმენმა, 20 წლის ელენა ალტშულმა მეოთხედ მოიპოვა ასუჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. გუშინწინ ტალინში, სადაც ტარდებოდა მატჩი ჩემპიონის ტიტულისთვის, მან ყაიმით დაამთავრა IX პარტია ხარკოველ ოლგა ლევინასთან. ამრიგად, ალტშულმა მოაგროვა 6 ქულა, რაც შეჯიბრების დებულების მიხედვით საკმარისია ტიტულის შესანარჩუნებლად.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ელენა ალტშული.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ამიერიდან რადიოსპორტსმენებიც იასპარეზებენ. საქართველოში სპორტის ეს სახეობა არც ისე პოპულარულია, თუმცა რესპუბლიკის სპორტულ-ტექნიკური კლუბის წევრებმა ბოლო პერიოდში გამართულ საკავშირო შეჯიბრებებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, ივნისში კიშინიოვში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ჩვენმა მრავალჭიდელებმა მესამე ადგილი დაიკავეს, არც ბავშვთა სპორტულ-ტექნიკური სკოლების საკავშირო პირველობაში უასპარეზიათ ურიგოდ. ამჟამად რესპუბლიკის საუკეთესო რადიოსპორტსმენები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადებიან.

რადიოსპორტსმენთა დებიუტი

— საკავშირო შეჯიბრებები სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო,— გვითხრა საქართველოს რადიოსპორტსმენთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ბორის კირეევმა**. — გუნდში თხუთმეტი მოსწავლეა, უმრავლესობა საკმაოდ გამოცდილია. გაზაფხულზე საწვრთნელი შეკრება გვქონდა ვლადიმირში, ახლა წყნეთის პიონერულ ბანაკ „მზიურში“ ვემზადებით. მშვენიერი პირობები გვაქვს, ბანაკის ხელმძღვანელები, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი მზრუნველობას არ გვაკლებენ... აქ თვის ბოლომდე დავრჩებით, დასკვნით შეკრებას კი დოსააფის სპორტულ-ტექნიკური რადიოკლუბის ბაზაზე მოვაწყობთ.

● **სპარტაკიადაზე რამდენი რადისტი გამოვა?**

— დებულების თანახმად გუნდში შვიდი სპორტსმენი იქნება — სამი გოგონა და ოთხი ბიჭი. შეჯიბრების პროგრამა ასეთია: რადიოსადგურებზე მუშაობა, ესტაფეტა (ოთხი ეტაპი) და სპორტული ორიენტირება. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილების მოპოვების შანსი აქვთ გენადი სილიკაშვილსა (თბილისის 43-ე საშუალო სკოლა, IX კლასი) და ანდრეი დობროვოლსკის (თბილისის 152-ე საშუალო სკოლა, IX კლასი). ცხადია, დანარჩენებიც მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებენ.

● **გუნდურ ჩათვლაში რა შედეგს ვარაუდობთ?**

— ჩვენი მიზანია უძლიერესთა ექვსეულში მოხვედრა. რა თქმა უნდა, ამ ამოცანის შესრულება იოლი არ იქნება. რადიოსპორტი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ პოპულარულია, ბევრ რესპუბლიკას ჰყავს კარგი გუნდი. სამწუხაროდ, ჩვენთან, საქართველოში სპორტის ეს საინტერესო სახეობა ვერა და ვერ გავრცელდა. პერიფერიებში რადიოსპორტის თითო-ოროლა მოყვარულს თუ შეხვდებით. რესპუბლიკურ შეჯიბრებებში სისტემატურად მხოლოდ თბილისისა და ბათუმის გუნდები მონაწილეობენ, მოსწავლეთა ნაკრებში კი ჯერჯერობით მხოლოდ თბილისელები არიან. ასე რომ, მისი პროპაგანდა-განვითარებისთვის მეტი გარჯა გვმართებს.

გაბრიელ ბარჯაძე.

ფიქრები ხმამაღლა

შენ რას იტყოდი, მკითხველო?

ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, სამჯერ მაინც დაწერა განცხადება, სამსახურიდან გამანთავისუფლეთო. შორს დაიჭირეს: არა და არაო, შენი წასვლა როგორ იქნებაო... ჯერჯერობით ისევ კომიტეტში მუშაობს. სიტყვაზე თუ მენდობით, საქმეს გადაგებული, პროფესიის ერთგული კაცია. სხვაგან კი არ მიდიოდა: სოფელში ფიზკულტურის მეთოდისტის ადგილი იყო თავისუფალი და იქით გაუწია გულმა. კომიტეტის თავმჯდომარეს რიგით მეთოდისტად უნდოდა მუშაობის დაწყება.

რატომ?

ამ კითხვაზე ერთბაშად ძნელია პასუხის გაცემა. საკითხი რომ ყურადსაღებია, ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება. განა ვამბობ, ტიპიური მაგალითია — ყველა თავმჯდომარეს თვალი გაქცევაზე უჭირავს-მეთქი. ღმერთმა დაგვიფაროს! რამდენი თავმჯდომარე ვიცი, კაცურად, მართლაც პროფესიულად რომ უძღვება საქმეს, ჯაფა ბევრი ადგას, მაგრამ არც ავტორიტეტი და დაფასება აკლია. რა დასამალია, ისეთებიც არიან, თბილად რომ მოიკალათებენ სავარძლებში და, ვიდრე არ „შეაწუხებენ", ფეხის მოცვლასაც არ ფიქრობენ. მაგრამ არის მესამე კატეგორიაც, სადაც არა სჯობს, გაცლას რომ ამჯობინებს. ის ჩემი ნაცნობი და სხვაც ბევრი ამ უკანასკნელთ განეკუთვნებიან.

ერთი სიტყვით, კითხვა პასუხს ითხოვს.

ალბათ გამიგებს მკითხველი: კონკრეტულ სახელებსა და მისამართებს ქვემოთაც მოვერიდები და ამას ჟურნალისტურ „დიპლომატიაში" ნუ ჩამომართმევთ. ამ წერილის მიზანი არც არის რომელიმე კონკრეტული პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური პორტრეტის დახატვა. მე, შეძლებისდაგვარად, უფრო იმას შევეცდები, რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარის სამუშაო ატმოსფერო და თვით კომიტეტის საქმიანობის ფრაგმენტები გაგაცნოთ. რა თქმა უნდა, შეუფერადებლად და შეულამაზებლად.

სპორტი საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს. სპორტსმენი, მით უმეტეს — ტიტულიანი სპორტსმენი, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. იმდენად არა, მაგრამ მწვრთნელებსაც კარგად იცნობს გულშემატკივართა სამყარო. რაც შეეხება სპორტის ადმინისტრაციულ მუშაკს (განსაკუთრებით რაიონული რგოლისას), ის ხშირად ყურადღების მიღმა გვრჩება. არადა, რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარე უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა სპორტული ცხოვრებისა. სწორედ ის არის ჩვენი სპორტის, ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი უპირველესი ორგანიზატორი და პოპულარიზატორი, თავისებური შუამავალი ფიზკულტურის კოლექტივსა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს შორის. ერთი ჩემი კოლეგა სამართლიანად წერდა, რომ რაიონული რანგის მუშაკებს ჩვენ, ჟურნალისტები, ამგვარ კონტექსტში თუ ვახსენებთ: „ამა და ამ რაიონში შეჯიბრება არადამაკმაყოფილებლად იყო ორგანიზებული (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ესა და ეს"). ეგ კი არა, რომელიმე ფეხბურთელი გაფრთხილებას რომ მიიღებდა, გაზეთში იმ რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გვარსაც აღნიშნავდნენ ხოლმე. რაკილა სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ აქამდე ჩვენი თავმჯდომარეები არც სხვათა ყურადღებით ყოფილან განებივრებული. დასჯილი, საყვედურგამოცხადებული თავმჯდომარე ბევრი მინახავს, მაგრამ დაჯილდოებული — იშვიათად.

მადლობას, ჯილდოს, რასაკვირველია, დამსახურება უნდა. როგორ იმუშაოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, რომ სოფელ-ქვეყანაში გამოჩნდეს? ამ შვიდი-რვა წლის წინ დამტკიცებულ ტიპურ დებულებაში ზუსტად არის ჩამოყალიბებული რაიონული სპორტკომიტეტის უფლება-მოვალეობანი, მაგრამ იქ, ცხადია, არაფერია ნათქვამი იმ პრობლემა-წინააღმდეგობებზე, სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორებზე, ცოცხალ საქმეში რომ იჩენს თავს. ვიდრე გავარკვევდეთ, როგორ, რა გზით და რას აკეთებს სპორტკომიტეტი, შემოგთავაზებთ რამდენიმე საგულისხმო ცნობას ოფიციალური სტატისტიკიდან: რესპუბლიკაში (თუ თბილისის და ქუთაისის რაიონებს არ ჩავთვლით) 65 რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარეა. მათი საშუალო ასაკი 43 წელია. უმრავლესობას (95 პროცენტს) უმაღლესი ფიზკულტურული განათლება აქვს, სამი ისტორიკოსია, ორი — ლიტერატორი, ორი ინჟინერი, ერთიც — ქიმიკოსი. ვიდრე ამ პოსტზე დანიშნავდნენ, თითქმის ყველა ფიზკულტურული მუშაკი იყო: ფიზკულტურის მასწავლებელი, მეთოდისტი, მწვრთნელი. ერთი სიტყვით, თავმჯდომარეთა შორის თითქოს შემთხვევითი ხალხი არ არის, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ კადრების დენადობა საკმაოდ მაღალია. თავმჯდომარეს მუშაობის ათწლიანი სტაჟი იშვიათობაა, 27 კაცი ამ პოსტზე 1980 წლის შემდეგ მოვიდა. ბარემ ყველაზე სტაჟიან და ყველაზე ახალგაზრდა თავმჯდომარესაც გაგაცნობთ: 63 წლის დორმიდონ ჩხიკვაძე 1948 წლიდან მუშაობს ჩოხატაურის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, 25 წლის ზურაბ ლოგუა კი შარშან ჩაუდგა სათავეში ხობის სპორტკომიტეტს. ქალი — სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იშვიათია ჩვენთანაც და საკავშირო მასშტაბითაც: წულუკიძეში შარშან დაინიშნა ამ თანამდებობაზე გულნარა ესებუა, რუსუდან ჩახვაძე კი 21 წელიწადია ხელმძღვანელობს ხელვაჩაურის სპორტკომიტეტს. ეს არის და ეს. სწორედ რუსუდან ჩახვაძის სიტყვებია: „ძალზე ცუდ მდგომარეობაში ვართ, ვერ ვასწრებთ მუშაობის ხეირიანად წარმართვას, დადგენილებებსა და შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემაც კი გვიჭირს".

ზემოთ უკვე ითქვა: სპორტკომიტეტის თავმჯდომარეებად, უმეტესწილად, ამ დარგის სპეციალისტებს ნიშნავენ. ალბათ არანაკლებ საინტერესოა, საით და რა მიზეზით მიდიან შემდეგ ისინი (თავისთავად და უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება). ამ წერილს რომ ვამზადებდი, ბევრგან გავიკითხ-გამოვიკითხე, მაგრამ ვერავინ გაიხსენა, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რაიმე არჩევით თანამდებობაზე დაეწინაურებინოთ. ერთი-ორი გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ გამონაკლისი საერთო სურათს ვერ ცვლის. იშვიათია უშუალოდ ზემდგომ სპორტულ ორგანოებში დაწინაურების შემთხვევებიც. მოკლედ, ირკვევა, რომ თავმჯდომარის პოსტი, უმეტეს შემთხვევაში ერთ-ერთი ბოლო საფეხურია.

კადრების დენადობას გარკვეულწილად მატერიალური მხარეც განაპირობებს. ხელფასი შედარებით დაბალია, საზრუნავი — ბევრი. როცა კომიტეტის თავმჯდომარე ნებაყოფლობით მიდის ფიზკულტურის მასწავლებლად, ამას აქვს ანგარიშგასაწევი წანამძღვრები: მეტი ხელფასი, ორთვიანი შვებულება, მეტი თავისუფალი დრო... შედარებით ტიპიურია მესამე ვარიანტი — ცუდი მუშაობის გამო თანამდებობიდან განთავისუფლება. მარტო ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ამ მიზეზით ათამდე თავმჯდომარემ დატოვა პოსტი.

სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს თავისუფალი დღე [illegible] აქვს. დრო იყოს, თორემ საქმე იმდენია, ერთი კაცი ვერც აუვა. რაიონული სპორტკომიტეტი ერთშტატიანია, თავმჯდომარეს უშუალო ხელქვეითი არა ჰყავს — ის თვითონ არის საქმის მწარმოებელი, მდივანი, მემანქანე, კურიერი. დღის განმავლობაში კომიტეტში სამი-ოთხი საქმიანი წერილი მაინც შემოდის: ყველას პასუხი უნდა გასცე — ზუსტი, ოპერატიული. ზოგჯერ ასეც ხდება: თბილისიდან ფოსტა, ვთქვათ, თხუთმეტ რიცხვში მოვიდა, პასუხს კი უკვე თექვსმეტისთვის ითხოვენ. მოკლედ, ამ საქმეს შაბათ-კვირისთვის ვერ გადადებ, რომც გადადო, შაბათ-კვირას ქაღალდისთვის ვერ მოიცლი — სპორტული შეჯიბრებები ძირითადად დასვენების დღეებში ტარდება და კაბინეტში ვინ დაგაყენებს. არადა ქაღალდი პასუხს ითხოვს — სასწრაფოდ უნდა გაამზადო მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების მიმდინარეობის ანგარიში: ახლავე უნდა იზრუნო მოახლოებული რესპუბლიკური თუ ზონალური შეჯიბრებისათვის გუნდის დაკომპლექტება-მომზადებაზე, გასაგზავნია განაცხადი; შესადგენი და გადასამრავლებელ-დასაგზავნია რაიონული პირველობის დებულება; ფიზკულტურულ კოლექტივებს უნდა შეახსენო, რომ მოახლოვდა სტატისტიკური ანგარიშების ჩაბარების ვადა... ახლა, თათბირები? — რაიკომში, აღმასკომში, კომკავშირში, თვე ისე როგორ ჩაივლის ერთი-ორჯერ თბილისშიც რომ არ მოგიხდეს წასვლა.

კომიტეტი, რა თქმა უნდა, ერთი კაცი არ არის. მის გარშემო რაიონის პატივცემული და ავტორიტეტული ხალხია შეკრებილი — შვიდი-რვა კაცი: პარტიის რაიკომისა და კომკავშირის თითო წარმომადგენელი, პროფკავშირების, განათლების განყოფილების, დოსააფის, კომისარიატის, სპორტსაზოგადოებათა რაისაბჭოების ხელმძღვანელი მუშაკები. იკრიბებიან, მსჯელობენ, ადგენენ და... პრაქტიკულად თითქმის ყველა საქმე ისევ და ისევ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მხრებზე გადადის. სიმართლეს ვერსად გაექცევი. ერთმა თავმჯდომარემ ისიც მითხრა, კომკავშირს მაშინ ვახსენებდი, საპლენუმო მოხსენებისთვის ციფრები რომ დასჭირდებაო (დასანანი კია. ჩვენთან, რესპუბლიკაში, კომკავშირისა და სპორტკომიტეტის სასარგებლო თანამშრომლობის არაერთი კარგი მაგალითი გვაქვს, მაგრამ ეს მაგალითები, რომ იტყვიან, ყველასთვის სამაგალითო არ გამხდარა).

ციფრები აუცილებელია, მაგრამ ციფრომანია არ ვარგა. სპორტკომიტეტს ყოველთვის როდი აქვს იმის საშუალება, ზუსტად დაადგინოს რამდენი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი ან თანრიგოსანია რაიონში მაინცდამაინც დღეისთვის. სწორი იყო კასპის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ავთანდილ ჯალალი: ციფრობრივი მონაცემები, სხვადასხვა ინსტანციებში ლამის ყოველთვიურად რომ მოითხოვენ, თუნდაც მოინდომო, ზუსტი ვერ იქნება, კომპლექსის ცალკეული ნორმატივი სხვადასხვა დროს ბარდება, შედეგებს კი წლის ბოლოს ვაჯამებთო. მაგრამ ციფრებს მაინც მოითხოვენ და, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ „სოვეტსკი სპორტი" წერდა, „ჩვენი თავმჯდომარე ან ტელეფონს მიუჯდება, ან მიდის კოლექტივში, სოფელში, სად — შემხვედრი მანქანით, სად — ფეხით. ზოგჯერ კი, მართალი გითხრათ, „საშუალო არითმეტიკულ" ციფრს ჩამოიღებს ჭერიდან"... ასე მახინჯდება სტატისტიკა, ცარიელ ადგილზე „აღმოცენდება" ასტრონომიული ციფრი, რომლისაც, გულახდილად რომ ვთქვათ, ყოველთვის არ სჯერათ, მაგრამ საზეიმო შემთხვევებში მაინც ხალისით ახსენებენ ხოლმე. გავთამამდები და ერთსაც ვიტყვი: ზოგი ჩვენი თავმჯდომარე ისე დახელოვნდა ციფრებით „ჟონგლიორობაში", თუ ბოლომდე არ ჩაეძიე, ვერ გაიგებ, სად მართალია, სად — ტყუილი. „ქაღალდის" ნიშნოსან-თანრიგოსნები გამოვლინდა ახმეტაში, ადიგენში, ყვარელში, მარნეულში, ახალციხეში...

გეგეჭკორის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მურმან პატარაია პრინციპული კაცია: ვიდრე სტატისტიკურ ანგარიშს რესპუბლიკის სპორტკომიტეტში წარადგენს, მისხალ-მისხალ ითვლის და ამოწმებს ფიზკულტურული კოლექტივებიდან შემოსულ ყველა ციფრს. ზოგჯერ გეგმა-დავალებას ვერ ასრულებს, უსიამოვნებაც ბევრი შეხვედრია, მაგრამ საკუთარი სინდისის წინაშე ყოველთვის მართალი რჩება. საბედნიეროდ, ასეთი თავმჯდომარე ერთი და ორი არა გვყავს. მათ აფასებენ, ანგარიშს უწევენ, ენდობიან რაიონში, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია სპორტკომიტეტის ავტორიტეტისთვის. მაგრამ სპორტკომიტეტი მაინც ვერ არის ერთმმართველი. უწყებრივი ბარიერების დაძლევა თავმჯდომარის შესაძლებლობებს აღემატება. ზემოთ ნახსენები დებულება სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს უფლებას აძლევს გააკონტროლოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა რაიონის უკლებლივ ყველა ორგანიზაციაში. ბევრი ვერ იყენებს ამ უფლებას — ბოლომდე პრინციპული ვერ არის, კონფლიქტურ სიტუაციებს ერიდება და იმიტომ. არადა, სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილების შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. თუნდაც ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე არაერთი უმნიშვნელოვანესი დადგენილებაა მიღებული ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარების თაობაზე. ეს დოკუმენტები „ბასრი იარაღია" ჭკვიანი, საქმიანი თავმჯდომარის ხელში, მაგრამ თუ თავმჯდომარე ფხიანი ვერ არის, ალტერნატიულ სიტუაციაში, როგორც წესი, საქმისათვის საზიანო ვარიანტს ირჩევს: მორიდებით ითხოვს იქ, სადაც თამამად უნდა მოითხოვდეს. თხოვნით კი, უმეტესწილად, არაფერი გამოდის. მეურნეობის დირექტორს ფიზკულტურისთვის აბა სად „სცალია" — ათასი სამეურნეო საქმეა მოსაგვარებელი, გეგმა „იწვის", მუშახელი ისედაც აკლია და სპორტული შეჯიბრების ხსენებაზეც კი ელეთმელეთი მოსდის. მაგრამ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, გამარჯვებაც ხომ სოფლის, კოლექტივის სახელია, მშრომელთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა კი — ხელმძღვანელის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა.

რამდენია რაიონული სპორტკომიტეტის წლიური ბიუჯეტი? — საშუალოდ, ოთხი-ხუთი ათასი მანეთი. აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი თავმჯდომარის ხელფასზე მიდის. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, მაგალითად, „კოლმეურნის" რაიონული საბჭო, მაგრამ რაიონის ნაკრები გუნდების მომზადებისთვის, შეჯიბრებებზე მივლინებისთვის თანხა სპორტკომიტეტმა უნდა გაიღოს. ასეთი შეჯიბრება კი წლის მანძილზე საკმაოდ ბევრი ტარდება რესპუბლიკაში. ამას გარდა, სპორტკომიტეტი ადგილობრივი მასშტაბის ღონისძიებებსაც ხომ აწყობს? (მაგალითად, იმავე გეგეჭკორში ყოველწლიურად ტარდება რაიონის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც 12-14 გუნდი მონაწილეობს). ხშირად ისე ხდება, რომ სპორტული სეზონი ახალი დაწყებულია, სპორტკომიტეტს კი სალაროში მანეთი არა აქვს. ეგეც არ იყოს, თანხა მარტო შეჯიბრებებისთვის ხომ არ არის საჭირო: სპორტული ინვენტარი, ფორმა, მატერიალური წახალისება, სამსახურებრივი მივლინება, საქმიან მიწერ-მოწერასაც თავისი ანგარიში აქვს... მოკლედ, კომიტეტის თავმჯდომარე „ხელგაშლილი" ვერ იქნება, შეზღუდული მატერიალური საშუალებები კი ცუდი მუშაობის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება. თავმჯდომარემ პირადი კონტაქტებით, რაიონის ხელმძღვანელთა დახმარებით, ნებადართული გზებით უნდა მოაგვაროს „შინაური საქმეები". ბევრი ვერ ახერხებს ამას. ეგ კი არა, ზოგს საკუთარი სამუშაო ოთახიც არა აქვს. ასეთ დღეში არიან, მაგალითად, ბოლნისისა და მარნეულის სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები. სამუშაო პირობები სრულიად არა აქვთ ყაზბეგში, გარდაბანში, ახალციხეში...

იქნებ სწორი იყო ის ჩემი ნაცნობი თავმჯდომარე, პირდაპირ რომ მითხრა: საქმის გაკეთება როგორ არ მინდა, მაგრამ რაღაცნაირად ხელფეხშეკრულივით ვარო. მერე კითხვაც მოაყოლა: ჩემს ადგილას რომ იყო, ხომ დაწერდი განცხადებასო? მე არც ჰო მითქვამს, არც — არა. შენ რას იტყოდი, მკითხველო?

ელგუჯა ბერიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიამოდელისტთა წარმატება

საქართველოში ავტოსამოდელო სპორტს დიდი ხნის ისტორია აქვს. რესპუბლიკის წარგზავნილთ მრავალ შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი. ტრადიცია არ ირღვევა. ამაში გვარწმუნებს ამას წინათ ომსკში ჩატარებული საკავშირო პირველობა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა სპორტსმენებმა (ლაშა მღებრიშვილი, ანდრო გალუსტიანი, მამუკა ტყებუჩავა, დათო ქერივიშვილი, ლევან ზასილაია, სანდრო ცერცვაძე, ბესიკ კეზერაშვილი, ავთანდილ კობიძე. მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ავტოსპორტში თენგიზ ლატარია) რსფსრ-ისა და უკრაინის ძლიერი კოლექტივების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავეს.

რესპუბლიკის ნორჩმა ავტომოდელისტებმა განსაკუთრებით პირად პირველობაში გამოიჩინეს თავი. პირველთანრიგოსანმა ლაშა მღებრიშვილმა ნებისმიერი კლასის რადიოთი სამართავი მოდელით 28 წამში უშეცდომოდ დაფარა ფიგურული ტრასა და პირველობაც გაინაღდა. საინტერესოა ის, რომ ლაშას მიერ ნაჩვენები შედეგი ორი წამით უკეთესია ვიდრე ამას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი მოითხოვს.

ამავე ტრასაზე იგივე მოდელით კარგად იასპარეზა საქართველოს ნაკრების მეორე წარმომადგენელმა, 13 წლის ანდრო გალუსტიანმა. იგი თანაგუნდელს ერთი წამით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა.

წარმატებას მიაღწია მამუკა ტყებუჩავამაც. მან საკორდო ალი-ელექტრომოდელით საათში 97 კმ სიჩქარე განავითარა და III ადგილი დაიკავა.

დათო ქერივიშვილი 2,5 სმ3 მოცულობის მქონე ძრავიანი ალი-მოდელით ასპარეზობდა. მისმა „იკარუსმა" საათში 129 კმ სიჩქარე განავითარა და გუნდს მესამე ადგილის ჩასათვლელი ქულები მოუტანა, თვითონ დათოს კი — პირადი IV ადგილი არგუნა.

ვაჟა დანელია.

დებიუტანტი

დავით კეკიშვილი

მძლეოსნობა

(ბადროს ტყორცნა)

დაიბადა 1966 წელს დუშეთის რაიონის სოფელ მანასეურაში.
სიმაღლე — 176 სმ.
წონა — 90 კგ.
საუკეთესო შედეგი — 57,80 მ.
ვარჯიში დაიწყო 1979 წელს ყარამან საბანაშვილის ხელმძღვანელობით.
წლეულს დაამთავრა გლდანის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი.
საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, გაიმარჯვა ჭაბუკ არმიელთა საკავშირო პირველობაში.
საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ემზადება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულახდილი საუბარი

უხეშობის სარბიელი?

ფეხბურთი უაღრესად ცოცხალი, ტემპერამენტული თამაშია, რომელსაც კომპრომისი არ უყვარს. მაგრამ საკმარისია ემოციები საზღვარს გადასცდეს, რომ იგი ყოველგვარ ლაზათს კარგავს და წრეგადასული უხეშობის სარბიელად იქცევა. სწორედ ამ პოპულარული, ყველასთვის ძვირფასი თამაშის სიწმინდეზე, მის საჭირბოროტო პრობლემებზე საუბრობენ სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი ვლადიმერ გუცაევი და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტი.

● ვლადიმერ, ფეხბურთის სპეციალისტებისა და ჟურნალისტებისაგან დღეს ხშირად გაიგონებთ ასეთ გამოთქმას: „თამაში ჯარიმის მიჯნაზე". არცთუ იშვიათად ასე ნათლავენ აშკარად უხეშ, სასტიკ თამაშსაც. საიდუმლო არ არის, თქვენ სწორედ იმ ფორვარდთა რიცხვს ეკუთვნით, რომლებიც მცველებს განსაკუთრებით ჰყავთ ნიშანში ამოღებული.

— ჩემი აზრით, ფეხბურთი მართლაც უფრო გაუხეშდა. ფეხბურთელები თითქოს რაღაც შეუმჩნევლად გადაეჩვივნენ ერთიმეორის პატივისცემას. რატომღაც ისე მოხდა, რომ ფეხებში ცემას, რასაც ხშირად სპორტსმენის ტრავმა მოსდევს, აღარც გულშემატკივრები, აღარც მსაჯები დიდ დანაშაულად აღარ თვლიან. ამის გამო განსაკუთრებით ვზარალდებით ჩვენ, თავდამსხმელები.

მე უკვე მეთხუთმეტე სეზონია თბილისის „დინამოში" ვარ და მხოლოდ 280-მდე მატჩი მაქვს ნათამაშევი.. ცოტაა! როგორც გამოვიანგარიშე, ამ ხნის მანძილზე, ტრავმები რომ არა, 400 შეხვედრაში მაინც შემეძლო მეთამაშა. ორივე ფეხი ნაპრევებით მაქვს დაფარული... არც ფეხის მოტეხა დამკლებია, არც ოპერაცია. იმიტომ კი არ გეუბნებით ამას, რომ მინდა ვინმეს თავი შევაცოდო და თანაგრძნობა გამოვიწვიო. არა, მაგრამ, ჩემი რწმენით, უხეშობისთვის სასჯელი უფრო მკაცრი უნდა იყოს. ამას წინათ ომამდელი ფეხბურთის ცნობარი ჩამივარდა ხელში. ამ ცნობარში ერთი საგულისხმო ფრაზა ამოვიკითხე: თუ მოთამაშე განზრახ მიაყენებს ტრავმას მეტოქეს, იგი პასუხს აგებს ხულიგნობისთვისო. სავსებით სწორი გადაწყვეტილებაა. აბა სცადეთ და ქუჩაში გამვლელს დაარტყით — შეგარჩენთ ვინმე? მაშინვე პასუხს გაგებინებენ. მინდორზე რატომ უნდა იყოს ყველაფერი დასაშვები?

ჩემი აზრით, ფეხბურთი ბევრად მოიგებდა, მოთამაშეს იმის შიში რომ ჰქონდეს, უხეშობისთვის უეჭველად გამაძევებენ მინდვრიდანო. აუცილებელია ფეხბურთელებს გამოვუმუშაოთ კორექტულობა. კორექტულობა თამაშში, კორექტულობა თანაგუნდელების, მეტოქეების, მწვრთნელების, მსაჯების მიმართ.

● კორექტულობა კარგია, რა თქმა უნდა... მაგრამ ჩვენ გვყავს აშკარად დაბალი კლასის მცველები, რომლებიც წესების ჩარჩოებში თამაშით ვერას გახდებიან გაზაევის, გრაჩოვის, ბლოხინის წინააღმდეგ. ვშიშობ, რომ სწორედ აქ უნდა ვეძიოთ უხეშობის სათავე.

— ხომ გვყავდა ექსტრა-კლასის მცველები, რომლებიც თავს უხეშობის უფლებას არამც და არამც არ მისცემდნენ... მახსოვს ჩემი დებიუტი მოსკოვში. ჩვენს თანაკლუბელებს ვხვდებოდით. მე, თვრამეტი წლის ბიჭს, მეურვეობას მიწევდა სახელგანთქმული ფეხბურთელი ვალერი ზიკოვი. ჩვენს შორის გაჩაღდა პატიოსანი, ნამდვილი შემოქმედებითი ორთაბრძოლა. ვალერის უჭირდა ჩემთან თამაში, მაგრამ არც ერთხელ არ შეუწყვეტია იერიში ფეხებში უხეში დარტყმით. პირიქით, მატჩის შემდეგ მოვიდა და კარგი თამაშისთვის მადლობა გადამიხადა. რომ იცოდეთ, როგორ შემასხა ფრთები ცნობილი, ბრძოლებში გამობრძმედილი მცველის ქებამ! დღემდე გულწრფელად მადლიერი ვარ მისი.

ზოგჯერ სხვაგვარადაც ხდებოდა. იმავე მოსკოვის „დინამოში" თამაშობს მცველი ალექსანდრე ნოვიკოვი. თითქმის ყოველ მატჩში იგი პერსონალურად მდარაჯობს. 1980 წელს თბილისში ვთამაშობდით. ნოვიკოვი წამდაუწუმ ფეხებში მირტყამდა. მირტყამდა გამეტებით, მთელი ძალით, და ბოლოს მიაღწია კიდეც თავისას: მინდვრიდან გამიტანეს. ექვს თვეს ვმკურნალობდი, მინდორზე არ გამოვსულვარ. ნოვიკოვისთვის კი მსაჯს გაფრთხილებაც არ მიუცია. მეორე წელიწადს უკვე მოსკოვში შევხვდით ერთმანეთს და იქაც იგივე გამეორდა: ნოვიკოვი ისევ განუწყვეტლივ მირტყამდა ფეხებში. შესვენებისას, გასახდელისკენ რომ მივდიოდით, ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

— საშა, მითხარი, რა გინდა ჩემგან?

— რა უნდა მინდოდეს, მე შენი ნეიტრალიზება მქვს დავალებული და ვცდილობ ეს დავალება შევასრულო, — მიპასუხა.

ჩემთვის გაუგებარია ეს. მე, რასაკვირველია, მოსკოველებს ვერ დავწამებ, რომ მართლა დაავალეს ნოვიკოვს, გინდა თუ არა, გუცაევი დაასახიჩრეო, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მათ არ შეაჩერეს მცველი, არ აუხსნეს, რა შეიძლება და რა არ შეიძლება მინდორზე.

მეტოქეზე გული არასდროს დამწყდება ჩემთან პირისპირ შეხვედრისას უხეში თამაშის გამო, თუ ამას ბოროტი განზრახვა არ უდევს საფუძვლად. წინასწარ განზრახული უხეშობა კი უსინდისობად მიმაჩნია, თუ გნებავთ, ლაჩრობადაც კი.

● ბავშვთა ფეხბურთში მოთამაშენი ერთმანეთს განზრახ არ ამტვრევენ. მაინც რომელი ასაკიდან იწყება უხეშად თამაში და რომელი ასაკიდან უყურებენ ასეთ თამაშს შემრიგებლურად, როგორც რაღაც ჩვეულებრივსა და თავისთავად ნაგულისხმევს?

— მახსოვს ჩვენი „ეზოს მატჩები". მაშინ ჩვენ, ბიჭები, ვცდილობდით არა მარტო გოლი გაგვეტანა, არამედ ლამაზი გოლი გაგვეტანა. ფეხის გამოდება ჩვენში მიღებული არ იყო: ამგვარი დანაშაულის ჩამდენი ხშირად ირიცხებოდა ეზოს გუნდიდან.

პირველად 1970 წელს, „იმედის თასის" ტურნირზე მივხვდი, რომ ჩემზე „ნადირობდნენ". პირველი ტრავმაც მაშინ მივიღე. ჩემი იმდღევანდელი მეურვე გამომიტყდა, რომ ჩემს წინააღმდეგ უხეში თამაში მწვრთნელისგან ჰქონდა დავალებული. აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული! ზოგიერთი მწვრთნელისთვის ქულების მოხვეჭა მთავარი მიზანია, ხანდახან ერთადერთი მიზანიც კი. აბა, რა აღზრდაზე შეიძლება ასეთ დროს ლაპარაკი?..

● აი, თქვენ ამბობთ, მინდორზე უხეშობა დაუშვებელიაო. მაგრამ წლეულს თქვენც ხომ დაგატოვებინეს თამაში...

— თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ მატჩი „სპარტაკთან", ჩემი და პოზდნიაკოვის შეჯახება. ბორისი მთელ მინდორზე ლანდივით დამდევდა. უხეშად თამაშობდა, მაგრამ წესების ფარგლებს არ გასცილებია. ჩვენ საჯარიმოსთან შევეჯახეთ ერთმანეთს. მაგრად შევეჯახეთ. მე ვერ მოვითმინე და ზედმეტი სიტყვა წამომცდა. უპასუხოდ არც იმან დამტოვა. ჩვენს კამათში სხვა მოთამაშეებიც ჩაერივნენ. მსაჯმა აბგოლცმა ორივე გაგვაძევა — მეც და პოზდნიაკოვიც. ჩემი აზრით, სწორადაც მოიქცა: ამის მერე მატჩი მშვიდად, უინციდენტოდ გაგრძელდა. თავის მართლებას ვერ მოვყვები. მინდორზე ანგარიშის სწორება ნამდვილი მამაკაცისა და სპორტსმენისთვის უღირსი საქციელია. ეგეც არ იყოს, მე იმ დღეს გუნდი დავალალატე — მწვრთნელებს იმ მატჩში ჩემი იმედიც ჰქონდათ. 1976 წელს პირველი გაფრთხილება მივიღე. მაშინ ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ ეს იქნებოდა პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. მაგრამ აი, სიტყვა გავტეხე — მინდვრიდან გამაძევეს. ძალიან ვწუხვარ.

● რა დასამალია, ბევრი მოთამაშე მატჩის დროს გაუთავებლად ეკამათება მსაჯებს, ცდილობს ხან პენალტი დაანიშვნინოს, ხან საჯარიმო... როგორია თქვენი დამოკიდებულება არბიტრების მიმართ?

— მე ნაწყენი ვარ არბიტრებზე. ნაწყენი ვარ იმიტომ, რომ ყოველთვის ვერ იჩენენ საჭირო თანამიმდევრულობას უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დროის გაჭიანურებისთვის, ხელით თამაშისთვის, მინდორზე ლაპარაკისთვის ბევრად უფრო ხშირად იძლევიან გაფრთხილებას, ვიდრე უხეში თამაშისთვის. არადა, როგორც თბილისის „დინამოს" ექიმი ზაქარია თელია ამბობს, მოთამაშეთა ტრავმების ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი სწორედ უხეში თამაშის შედეგია. გავიხსენოთ, რომ სპორტული სარბიელი, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სასურველი იყო, სწორედ ტრავმების გამო დატოვეს ბიშოვეცმა და ყიფიანმა, ევრიუჟიხინმა და გერშკოვიჩმა... ყველას ვერ ჩამოთვლი!

ჩვენ გუნდში წესად არა გვაქვს არბიტრებთან ლაპარაკი. თუ რამე გასარკვევია, ამას გუნდის კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს ვანდობთ. მაგრამ ერთ ამასწინანდელ მატჩში მაინც ვერ შევიკავე თავი და შეხვედრის მსაჯს ხოხრიაკოვს მივმართე. თბილისში ვთამაშობდით ცსკა-სთან. ნიკოლაი ბულგაკოვი მომიჩინეს მეურვედ. მთელი შეხვედრის მანძილზე მოსვენებას არ მაძლევდა. მეტისმეტი რომ ქნა, ხოხრიაკოვთან მივედი და ვთხოვე, ყურადღება მიაქციეთ-მეთქი. არბიტრი სიტყვით დამპირდა, მაგრამ საქმით არაფერი შეცვლილა. მე ბალახზე ვგდივარ, სასტვენი დუმს...

მსაჯების ამგვარი ლიბერალობა დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ფეხბურთს. აბა საერთაშორისო შეხვედრები გაიხსენეთ. მატჩი არ არის, რომ ჩვენმა მოთამაშეებმა გაფრთხილება არ მიიღონ ან ვინმე მინდვრიდან არ გააძევონ. უცხოელი არბიტრები ბევრად უფრო მკაცრად სჯიან მოთამაშეს ფეხებში წინასწარ განზრახული დარტყმის გამო, უფრო თამამად ნიშნავენ თერთმეტმეტრიანებს და სწორადაც იქცევიან.

● დღევანდელ საუბარში ჩვენ შევეხეთ პატიოსანი სპორტული ბრძოლის რამდენიმე პრობლემას, ამ პრობლემის თქვენეულ გაგებას. ახლა მინდა ერთი ბოლო, და იქნებ ცოტა მოულოდნელი, შეკითხვა მოგცეთ: შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ ეგრეთ წოდებულ საფეხბურთო ამხანაგობაზე, საფეხბურთო ძმობაზე?

— შეიძლება კი არა, საჭიროა! ჩვენ ყველანი — დინამოელებიც, არმიელებიც, სპარტაკელებიც, ერთ თამაშს — ფეხბურთს ვთამაშობთ მინდორზე. ჩვენ არა მარტო მეტოქეები ვართ, არამედ მეგობრებიც. ამისი დავიწყება არ შეიძლება.

საუბარი ჩაიწერა
ა. ჩურკინამ.

სსრ კავშირი — მექსიკა

ხვალ ლენინგრადში, როგორც ცნობილია, გაიმართება მეტად საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. სსრ კავშირის ნაკრები შეხვდება 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყნის — მექსიკის ნაკრებს.

ამავე დღეს მოსკოვის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ ბრაზილიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ქ. ბელუ-ორიზონტის „კრუზეიროს".

15 აგვისტოს მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ადგილობრივ „სპარტაკსა" და იტალიის ჩემპიონს, ცნობილ „იუვენტუსს" შორის. ეს მატჩი არ შემდგარა, მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა თამაში მოგვიანებით ჩატარდეს.

• • •

მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც 19 აგვისტოს ლენინგრადში სსრ კავშირის ნაკრებს უნდა შეხვდეს, რამდენიმე მატჩი ჩაატარა ევროპაში. მექსიკელებმა ირლანდიაში ფრედ დაამთავრეს მატჩი ადგილობრივ ნაკრებთან — 0:0, შემდეგ ასევე ფრედ ითამაშეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან — 1:1.

ბოლო შეხვედრა მექსიკელებმა ფინეთში გამართეს, სადაც ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ამ ქვეყნის ნაკრები. ბურთები გაიტანეს აგირემ, ერნანდესმა და ნეგრეტემ.

I ლიგა

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის კალენდარული მატჩები, საქართველოს გუნდებმა კვლავ შინ მიიღეს მეტოქეები.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და ვოროშილოვგრადის „ზარია". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

ლანჩხუთის „გურიამ" ასკ „კარპატს" უმასპინძლა და დაამარცხა — 2:1.

ბათუმში შედგა მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ვორონეჟის „ფაკელს" შორის. მატჩი დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით — 1:0.

შემდგომ ტურში, რომელიც 23 აგვისტოს გაიმართება, ქუთაისში თამაშობენ ადგილობრივი „ტორპედო" და ბათუმის „დინამო", ხოლო ლანჩხუთის „გურია" ვორონეჟში შეხვდება „ფაკელს".

II ლიგა

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში 23 ივლისს შედგა 22-ე ტურის კალენდარული შეხვედრები, შემდეგ დაიწყო პროფკავშირების საკავშირო სპორტსაზოგადოებათა თასის გათამაშება, დღეს კი საკავშირო შეჯიბრება განახლდება. სოხუმის „დინამო" მიიღებს თბილისის „ლოკომოტივს". ტყიბულის „მეშახტე" — მახარაძის „მეგრუხალს". გორის „დილა" აბოვიანში შეხვდება „კოტაიკს". სამტრედიის „ლოკომოტივი" — ლენინაკანში ადგილობრივ „შირაკს", ხოლო ფოთის „კოლხეთი" — კიროვაბადში „ქიაფაზს".

„ნიჭაბუკის" თასზე

კრამატორსკში გრძელდება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული „ნიჭაბუკის" თასის გათამაშება მოზარდ ფეხბურთელთა შორის.

III ტურში მეტად დაძაბულად წარიმართა საქართველოსა და უკრაინის გუნდების შეხვედრა. წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

რსფსრ-ის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს სომხეთის ნაკრები, ხოლო ლიტვისა და უზბეკეთის გუნდების შეხვედრა ფრედ — 1:1 დამთავრდა.

3 ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 5 ქულა აქვს. უკრაინისა და რსფსრ-ის გუნდებმა 4-4 ქულა მოაგროვეს.

გუშინ საქართველოს ნაკრები ლიტვის გუნდს შეხვდა.

ინფორმაცია

პერსპექტიულთა შესარჩევად

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესვენების პერიოდში მოეწყო პერსპექტიულ ფეხბურთელთა შესარჩევი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატის აღმოსავლეთ ზონის (მწვრთნელი ფ. ჭელიძე), დასავლეთ ზონის (მწვრთნელი ბ. კაკუბავა) ნაკრები გუნდები, მოსწავლეთა ნაკრები (მწვრთნელები მ. ხურცილავა, რ. ძოძუაშვილი) და „იმედის" ნაკრები (მწვრთნელი ლ. ვერულიძე, ა. ბოჭორაძე, მ. ჩხარძე).

ტურნირის პირველ დღეს დასავლეთ ზონის ნაკრები შეხვდა მოსწავლეთა ნაკრებს (3:2), ხოლო აღმოსავლეთ ზონისა — „იმედს" 4:2.

პირველი ადგილისთვის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზონების გუნდებმა, ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა აღმოსავლეთ ზონის ნაკრებმა. III ადგილი ერთმანეთს ეცილებოდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები და „იმედის" გუნდი. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მოსწავლეებმა.

რესპუბლიკის ოსტატთა კოლექტივების დასაკომპლექტებლად შერჩეულია პერსპექტიული ფეხბურთელები, რომელთა სიას მალე წარუდგენენ ოსტატთა გუნდების მწვრთნელებს.

„მეგობრობა -84“

(დასასრული)

თარჯრბენი 100 მ. 1. იორდანკა დონკოვა (ბულგარეთი) — 12,55 (ბ. ფიტცჯერალდ-ბრაუნი — 12,84). 2. საბინა პეტცი (გდრ) — 12,60. 3. ლუცინა კალეკი (პოლონეთი) — 12,61.

რბენა 400 მ. 1. მარიტა კოხი (გდრ) — 48,16 (ვ. ბრისკო-ჰუკსი — 48,83), 2. ტატიანა კოცემბოვა (ჩეხოსლოვაკია) — 48,73. 3. ოლგა ვლადიკინა (სსრ კავშირი) — — 49,52.

რბენა 3000 მ. 1. ტატიანა კაზანკინა (სსრ კავშირი) — 8.33,01 (მ. პუიკა — 8.35,96), 2. ნატალია არტიომოვა (სსრ კავშირი) — 8.40,53, 3. ოლგა ბონდარენკო (სსრ კავშირი) — 8.43,74.

შუბი. 1. პეტრა ფელკე (გდრ) — 73,30 (ტ. სანდერსონი — 69,56), 2. ანტოანეტა ტოდოროვა (ბულგარეთი) — 65,40, 3. მარიაკარიდად კოლონი (კუბა) — 64,34.

ბირთვი. 1. ნატალია ლისოვსკაია (სსრ კავშირი) — 21,96 (კ. ლოში — 20.48), 2. ჰელენა ფიბინგეროვა (ჩეხოსლოვაკია) — 21,33, 3. ნუნუ აბაშიძე (სსრ კავშირი) — 21,18.

ელვა-ინფორმაცია

გუშინ მოსკოვში დაიწყო მძლეოსან ვაჟთა შეჯიბრება „მეგობრობა-84“-ის პროგრამით. მედლების პირველი კომპლექტი გაითამაშეს 20 კმ-ზე სპორტული სიარულის ოსტატებმა. სამივე ჯილდო წილად ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს, ადგილები კი ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: 1. სერგეი პროციშინი — 1 : 21.57, 2. ანატოლი სოლომინი — 1 : 22.21, 3. ნიკოლაი პოლოზოვი — 1 : 22,40.

საინტერესოა ერთი დეტალი: ამავე დისტანციაზე ლოს-ანჯელესში გაიმარჯვა მექსიკელმა ე. კაიტომ, რომელმაც აჩვენა 1:23.13. როგორც ხედავთ, მოსკოვის ტურნირის სამივე პრიზიორს ოლიმპიურ ჩემპიონზე უკეთესი შედეგები აქვს.

კრილატსკოეს ველოტრეკზე

„მეგობრობა-84“-ის პროგრამით ასპარეზობის სურვილი უკვე გამოთქვეს ალჟირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, გვინეა-ბისაუს, ბენინის, ინდოეთის, კოლუმბიის, კუბის, ლაოსის, ტუნისის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ეთიოპიისა და სსრ კავშირის გუნდებმა. მოსალოდნელია სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობაც.

ჯილდოები გათამაშდება სატრეკო ველოსპორტის ოლიმპიურ სახეობებში. სპეციალისტთა აზრით, აქ მთავარი კონკურენტები იქნებიან საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ველოსიპედისტები. განსაკუთრებული ინტერესით მოელიან სპრინტერთა ასპარეზობას, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ მსოფლიო ველოსპორტის აღიარებული ლიდერები — ტულელი სერგეი კოპილოვი და გდრ-ის წარმომადგენელი ლუც ჰესლიჰი. ამ უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, 4 წლის წინ მოსკოვის ოლიმპიადა მოიგო, მაგრამ წააგო ორი მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი სერგეი კოპილოვთან, შარშან კი რევანში აიღო ამ დამარცხებებისათვის.

კოპილოვმა ცოტა ხნის წინ 1000 მეტრზე გიტშიც სცადა ბედი და წარმატებაც მოიპოვა. გაზაფხულზე კი პარიზის დიდი პრიზი მოიგო სპრინტში. წლეულს რამდენიმე დიდი გამარჯვება იზეიმა ჰესლიჰმაც. ასე რომ, მეტოქეები საუკეთესო ფორმაში არიან.

მოსკოვში კოპილოვი ორ სახეობაში ცდის ძალას—გიტსა და სპრინტში. საბჭოთა კავშირის გუნდში არიან, აგრეთვე, ქვეყნის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი გინტაუტას უმარასი (კაუნასი), შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ივან რომანოვი (კლაიპედა), ოლიმპიურ ჩემპიონთა კვარტეტი (გამოდევნებით გუნდურ რბოლაში) — მინსკელი ვლადიმერ მოვჩანი, ლენინგრადელი ალექსანდრე კრასნოვი, კუიბიშეველი მარატ განეევი და კლაიპედელი ვასილი შპუნდოვი.

გუნდის სათადარიგო წევრთა შორის არიან: მსოფლიო ჩემპიონი ვიქტორ კუპოვეცი (როსტოვი), ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ მანაკოვი (ლენინგრადი), ალექსანდრე პანფილოვი (ტაშკენტი), კონსტანტინე ხრაბცოვი (მოსკოვის ოლქი) და იური ლუპოლენკო (ოდესა).

ხსოვნა დიდბუნებოვანი კაცისა

საბჭოთა მოჭადრაკეების ბურჯმაგარ, ჰერმადალ ოჯახს ერთი უსაჩინოესი წევრი დააკლდა.

ძნელია რამდენიმე სიტყვით გამოხატო ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, ტიგრან პეტროსიანს რომ მიუძღვის თანამედროვე ჭადრაკის წინაშე.

თბილისი იყო მისი ჭადრაკის მასწავლებელი...

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, რუსთაველის თეატრის წინ გაატარა ბავშვობა, თბილისის პიონერთა სასახლეში დაეუფლა ჭადრაკის ანბანს, არჩილ ებრალიძე იყო მისი პირველი მწვრთნელი. პირველად აქვე, რუსთაველის თეატრში იზეიმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

გამორჩეულად კეთილშობილი და გულისხმიერი პიროვნება იყო. არასოდეს დამავიწყდება მისი მოსვლა და პირველი მოლოცვა სასტუმრო „მოსკვაში“, როცა პირველად გავხდი მსოფლიო ჩემპიონი. მერეც არასოდეს დარჩენილა გულგრილი ჩემი, და არა მარტო ჩემი, გამარჯვებების მიმართ.

1963 წლის სექტემბერში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე „ცოცხალი ჭადრაკი“ მოეწყო. მასში ბრონშტეინთან და ავერბახთან ერთად პეტროსიანიც მონაწილეობდა.

1969 წლის მაისში ჩემი და კუშნირის მატჩი მსოფლიო პირველობაზე თბილისში დაიწყო და მოსკოვში გაგრძელდა. ამ დროს მოსკოვში სპასკი-პეტროსიანის მატჩი მიმდინარეობდა. ორთაბრძოლა ძალზე დაძაბული გამოდგა — ხან ერთი იყო წინ, ხან — მეორე. ტიგრანი მოსკოვის მახლობლად სუხანოვოში ისვენებდა. გიორგი გაჩეჩილაძე, თენგიზ გიორგაძე და მე აგარაკზე ვეწვიეთ ტიგრანს. მაშინ მას ძალიან უჭირდა, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება სათუო იყო — და ჩვენი სტუმრობით გულით გაიხარა.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება ჭეშმარიტად დიდ მოჭადრაკეზე, რომელმაც ნათელი და წარუშლელი კვალი დატოვა საბჭოთა ჭადრაკის ისტორიაში, უდროო სიკვდილით კი გული დაწყვიტა მისი ნიჭის ურიცხვ თაყვანისმცემელს, ჩვენ ყველას, მის თბილისელ მეგობრებს.

ნონა გაფრინდაშვილი.

ინფორმაცია

ფეხბურთი

15 აგვისტოს ტაშკენტში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ფახთაქორსა“ და დონის როსტოვის არმიელთა გუნდს შორის. გაიმარჯვეს ტაშკენტელებმა — 4:0, 2 გოლი შკვირინმა და კაბაევმა გაიტანეს, ორიც შულაევმა და კურიატნიკოვმა შეაგდეს საკუთარ კარში.

გააფრთხილეს როსტოველი კლიუჩნიკოვი.

დუბლიორები — 1:0.

• • •

სამი კვირის შესვენების შემდეგ განახლდება საქართველოს 1984 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. დღეს და ხვალ I ჯგუფის აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონების გუნდები მორიგი, 22-ე ტურის კალენდარულ მატჩებს გამართავენ.

18 აგვისტოს თბილისში, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და ბორჯომის „თორი“. მატჩი დაიწყება 17 საათზე.

19 აგვისტოს თბილისის არმიის სპორტკლუბის სტადიონზე ითამაშებენ „იმედი“ (თბილისი) —„მადნეული“ (ბოლნისი). მატჩი დაიწყება 19 საათზე.

• • •

ბონი. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელმა ბრაზილიის „გრემიომ“ 3 საერთაშორისო მატჩი გამართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ბრაზილიელებმა ანგარიშით 4:2 დაამარცხეს „შტუტგარტი“, შემდეგ მოუგეს მიუნხენის „ბაიერნს“ — 1:0 და მატჩი ფრედ დაამთავრეს მაინის ფრანკფურტის „აინტრახტთან“ — 1:1.

შვერინი (გდრ). მოსკოვის „დინამომ“ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ამ ქალაქის თანაკლუბელებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2.

რომი. იტალიაში სტუმრად იმყოფება დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივი. დონეცკელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს I ლიგის გუნდი „რეჯანა“, ხოლო მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდთან „ასკოლისთან“ ფრედ — 2:2 დაამთავრეს.

ჩოგბურთის საიდუმლოებანი

1. წყვილთა თამაში

წყვილთა შეხვედრას ბევრი ისეთი ტაქტიკური და პოზიციური თავისებურება ახასიათებს, რითაც იგი არსებითად განსხვავდება ერთეულთა შეხვედრისაგან. ცალკეულ ჩოგბურთელებს წყვილთა შეხვედრაში გარკვეული სიძნელეების გადალახვა სჭირდებათ. როგორ უნდა იქცეს საშუალო კლასის ჩოგბურთელი კარგ მეწყვილედ?

ჯეკ კრამერი (1947 წლის უიმბლდონის ტურნირის ორგზის ჩემპიონი ერთეულთა და წყვილთა თანრიგში, აშშ-ის ღია ჩემპიონატში ერთეულთა თანრიგში გამარჯვებული (1946, 1947), 1947 წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოს № 1 ჩოგანი. იმავე წელს ჩამოაყალიბა ჩოგბურთელთა პროფესიული ჯგუფი, რომელმაც, სხვათა შორის, თბილისშიც ჩაატარა ტურნე): „ერთეულთა თანრიგიდან წყვილებში „გადართვა“ ერთგვარ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. წყვილთა შეხვედრაში მთლიანად უნდა შეცვალოთ როგორც ტაქტიკა, ისე დარტყმები. მაგალითად, თუ მოჭრილ დარტყმას კარგად ფლობთ, წყვილთა თამაშის დროს ბურთი უფრო რბილად უნდა მოჭრათ. თუ თამაშის დროს ტოპსპინს (ქვემოდან ზემოთ დარტყმა) გამოიყენებთ, დარტყმას მეტი სისწრაფე უნდა მისცეთ. განივის ნაცვლად შეასრულეთ ჯვარედინი დარტყმები. როგორც წესი, ბურთის დარტყმის სიმაღლე წყვილებში უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე ერთეულებში. საიერიშოდ ყველაზე შესაფერისია შუა მოედანი — ზუსტად ის ადგილი, სადაც ბადის ქამარია გაბმული. საჭიროა ძლიერი დაბალი დარტყმა, რათა ბურთი ზუსტად ქამარს გადაევლოს თავზე“.

ფრედ სტოული (ავსტრალიის სამგზის ჩემპიონი ერთეულთა თანრიგში (1963, 1964, 1966), საფრანგეთის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული (1965), უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში (1962, 1964), აშშ-ის ღია ჩემპიონატში გამარჯვებული (1966, ერთეულთა თანრიგში), მსოფლიოს № 1 ჩოგანი (1966): „მსოფლიოს გამოჩენილი ჩოგბურთელი, ავსტრალიელი როდ ლეივერი არასოდეს არ ითვლებოდა კარგ მეწყვილედ, თუმცა მას ბევრი წარმატებაც მოუპოვებია ამ თანრიგში. 1971 წელს ლეივერს ემერსონთან ერთად მოგებული აქვს წყვილთა შეჯიბრება უიმბლდონში, მაგრამ მაშინაც ისე თამაშობდა, როგორც ერთეულებში. ერთეულთა ბრძოლა კი წმინდა ინდივიდუალური თამაშია. ასეთი თამაშით ძნელია წყვილებში წარმატებას მიაღწიო. ერთეულთა თანრიგის ჩოგბურთელებს საპასუხო დარტყმებს ასწავლიან ბადიდან 8-10 ფუტის სიმაღლეზე (1 ფუტი უდრის 30,5 სმ). ჩოგბურთელებმა, რომლებიც ერთეულებშიც თამაშობენ და წყვილებშიც, უნდა გაითვალისწინონ, რომ წყვილთა შეჯიბრების დროს ბურთის სიმაღლე გაცილებით ნაკლები უნდა იყოს. წყვილთა შეხვედრაში პირველი მოწოდების მიღებისას სპორტსმენი მთავარ (უკანა) ხაზთან უნდა იდგეს, ხოლო მეორე მოწოდების მიღებისას — ხაზის წინ. ჩოგბურთელმა, რომელსაც სურს წყვილთა შეხვედრებში უკეთ ითამაშოს, მეტი უნდა ივარჯიშოს ბურთის მოწოდებისა და საჰაერო დარტყმის დასახვეწად.“

დენის როლსტონი (უიმბლდონის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში 1960, აშშ-ის ღია პირველობაში სამგზის გამარჯვებული წყვილთა თანრიგში—1961, 1963, 1964): „იმისათვის რომ წყვილთა შეჯიბრებებში კარგად გამოხვიდეთ, პირველ ყოვლისა, საჭიროა კარგად დაეუფლოთ სტრატეგიას და მეტი დრო დაუთმოთ წყვილებში თამაშს. თუ მთავარი ხაზის მოთამაშე ხართ და ერთეულთა შეხვედრის დროს ხშირად არ გადიხართ ბადესთან, მოგიწევთ ვარჯიში მოწოდებისა და საჰაერო დარტყმის გასაუმჯობესებლად. შესაძლოა უკან დადგეთ და დროდადრო დაცვითი ტაქტიკით ითამაშოთ, მაგრამ მეტი სრულყოფისა და წარმატებისთვის აუცილებელია ბადესთან თამაში. საკლუბო გუნდები წვრთნის მიზნით ერთეულთა შეხვედრას წყვილების კორტზე ატარებენ. შრომატევადი ვარჯიშისა და დაკვირვების შემდეგ ისინი ადგენენ, თუ რა დროს და როგორ აანთონ სანთელი, როდის გავიდნენ ხაზის გასწვრივ, სად მოაწოდონ ბურთი და ა. შ.“.

როლსტონის ხუთი რჩევა: 1. კორტის რომელ მხარეს ირჩევთ წყვილთა შეხვედრის დროს? ეს მეტად მნიშვნელოვანი კითხვაა. იმის მიხედვით, თუ რას აირჩევთ, შეიძლება მსჯელობა თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებზე. საერთოდ პირველ (მარჯვენა) კორტზე გამძლე სპორტსმენმა უნდა ითამაშოს, რადგანაც წყვილთა შეხვედრაში ბურთის გათამაშება უმეტესწილად ამ მხარეს ხდება. მარჯვენა ხელით მოთამაშე სპორტსმენისათვის პირველ კორტზე თამაში ჯობს; 2. მეორე (მარცხენა) კორტზე თამაშის დროს ყოველთვის მზად უნდა იყოთ გადამწყვეტი დარტყმისათვის; 3. პირველი კორტიდან თამაშის დაწყება განივი დარტყმებით ეფექტური ტაქტიკაა. ამგვარი ტაქტიკის შედეგად მეტოქე დაფრთხება და ბადესთან გამოსვლას მოერიდება; 4. პირველ კორტზე მოთამაშეს უფრო ხშირად მარცხნიდან უხდება დარტყმა, ხოლო მეორეზე — მარჯვნიდან. ეს იმიტომ, რომ წყვილთა შეხვედრაში დარტყმების უმეტესობა ცენტრს კვეთს. გირჩევთ: პარტნიორმა, რომელსაც მარცხნიდან დარტყმა უფრო ემარჯვება, პირველ კორტზე ითამაშოს, ხოლო მან, ვინც მარჯვნიდან უკეთ ურტყამს, მეორე კორტი აირჩიოს; 5. წყვილი შეთანხმებულად უნდა თამაშობდეს. პარტნიორმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რას აპირებს მისი მეწყვილე, რათა სწორი პოზიცია დაიკავოს.

მასალა მოამზადა
გიორგი ენუქიძემ.

სურათზე: წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყვილი ჯონ ნიუკომბი (მარცხნივ) და ტონი როუჩი (ორივე — ავსტრალია).

დრეევი თუ ჰანსენი?

ფინეთის ქალაქ კილიავაში მიიწურა ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის გათამაშება. 11 ტურის შემდეგ ალექსეი დრეევს (სსრ კავშირი) და კურტ ჰანსენს (დანია) 8,5-8,5 ქულა აქვთ.

10 ტურის შემდეგ დრეევი ნახევარი ქულით უსწრებდა დანიელ ოსტატს. მაგრამ XI ტურში ჰანსენმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) და დაეწია მას. ამ დღეს დრეევი ყაიმს დასჯერდა ესპანელ ალფონსო რომეროსთან შეხვედრაში.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

რედაქტორი ა. გოგელია.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:
1. ფიზიკური კულტურის მართვის ორგანიზაციის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული;
2. მრავალჭიდის კათედრის უფროსი მასწავლებელი ფარიკაობის სპეციალობით — 1 ერთეული;
კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ერთი თვის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა.
ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49. კადრების განყოფილება. ტელ: 23-09-02.

გიწვევთ
საკოლო ბაზრობებზე
ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ცენტრებში, უნივერმაღებში და მაღაზიებში მიმდინარეობს საკოლო ბაზრობები.
ბაზრობებზე სხვა საქონელთან ერთად ფართოდ არის წარმოდგენილი სპორტული ინვენტარი: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ბურთები, ბადეები, მაგიდის სათამაშოები.
სკოლებსა და სპორტულ სკოლებს ორძელების, ღერძების, ლეიბების და ზოგიერთი სხვა სპორტული საქონლის შეძენა შეუძლიათ გადარიცხვის წესითაც.
ცეკავშირის გამგეობა
„საკკოოპრეკლამა“

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი
ინდექსია
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 0971